ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4391673

ნომერი: AR1663233

თარიღი : 21.02.2019

გაცემის თარიღი : 26.02.2019

გაცნობის თარიღი : 27.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუნუ ცხვედაძე პ/ნ 01017001328
- თბილისი არსენას ქ. N 36

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით არ მიაჩნია შესაძლებლად სარდაფში ჩასასვლელის და საჩრდილობლის მოწყობა, ასევე ფასადზე შემინვის მოწყობა. შემუშავდეს განახლებული ვიზუალის ფოტომონტაჟი, სადაც დაიხვეწება საჩრდილობელის ვიზუალი და მოეწყობა უფრო სადა და მსუბუქი კონსტრუქციის, ხოლო ჩასასვლელი კიბე მოეწყობა მხოლოდ ცალ მხარეს ერთ მარშიანი ფასადის პარალელურად. წარმოდგენილ იქნას განახლებულ მონტაჟთან ერთად ესკიზური ნახაზები (გეგმა, ჭრილი, ფასადი) დეტალურად გაბარიტების და მასალის მითითებით.
- წარმოდგენილ იქნას იმ ფართის მესაკუთრის (სარდაფის თავზე არსებული პირველი სართულის) თანხმობა ვის ფასადზე ეწყობა საჩრდილობელი.
- ვინაიდან სარეკონსტრუქციო ფართი წარმოადგენს სარდაფს, საჭიროა ველში "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" დაამატოთ სარეკონსტრუქციო სარდაფის საკადასტრო კოდი წილობრივი მონაცემებით. ან აღნიშნული დოკუმენტი ატვირთოთ ველში ფაილის მიმაგრება.
- ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).
- ვინაიდან კიბე ეწყობა საკადასტრო საზღვარს გარეთ საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა, შესაბამისი დანართის თანდართვით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.